

დანართი N2

**წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა**

**I ეტაპი**

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2023 წლის 1 აგვისტო**

- განაცხადი;
- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

**II ეტაპი**

**დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადა 2024 წლის 1 მარტი**

- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან, შესაბამისი კალენდარული წლების (2022 და 2023 წწ) განმავლობაში ექსპორტირებული ღვინის (ლიტრი) მოცულობის შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ გაცემული ანგარიში შესაბამის საანგარიშო პერიოდებში (01.10.2021-30.09.2022 წწ. და 01.10.2022-30.09.2023 წწ.) გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობების შესახებ, რომელიც მომზადებულია სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- მცირე ზომის მარნის შემთხვევაში პროგრამის 51 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მისაღებად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

*შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს წინა კალენდარული წლის და საანგარიშო პერიოდში არ აქვს გაწეული მარკეტინგული ხარჯი ან/და არ განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად, დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება არა უგვიანეს გასული 3 წლის განმავლობაში უკანასკნელად გაწეული მარკეტინგული ხარჯი და ექსპორტირებული ღვინის მოცულობა.*